პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 225 (11229) | კვირა, 28 სექტემბერი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

პარტიის XXI ყრილობის შესახვედრად

მშრომელთა კომუნისტური აღზრდის მძლავრი საშუალება

სასიხარულო ცნობამ პარტიის XXI ყრილობის მოწვევის შესახებ მთელი ჩვენი ქვეყანა აღაფრთოვანა, მშრომელთა ფართო მასების მძლავრი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობა გამოიწვია. მოწინავე საწარმოებმა და კოლმეურნეობებმა გვიჩვენეს პატრიოტული თაოსნობის ბრწყინვალე მაგალითი — მაღლა ასწიეს პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების დროშა. ახლა ეს შესანიშნავი შეჯიბრება ნამდვილ საყოველთაო-სახალხო მოძრაობად გადაიქცა.

გრანდიოზული პერსპექტივები, რომლებსაც პარტიის მომავალი XXI ყრილობა ჩვენს ქვეყანას დაუსახავს, ახალ დიდ აფოცანებს აყენებს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების წინაშე.

ამჟამად პარტიული ორგანიზაციების მთავარი ამოცანაა ფართოდ და ღრმად განუმარტონ მშრომელებს პარტიის მომავალი XXI ყრილობის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა, საინტერესოდ და მკაფიოდ მოუთხრონ მათ იმ შესანიშნავ მიღწევებზე, რომლებიც მოიპოვეს ჩვენმა სამშობლომ, საქართველოს რესპუბლიკამ სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების საფუძველზე. ამ ამოცანის წარმატებით გადასაწყვეტად საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღონ ორგანიზატორული და საagიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა. აგიტატორები და პროპაგანდისტები, ყველა კომუნისტი მოწოდებული არიან დაუკვირდნენ აწარმოონ კომუნისტურ მშენებლობაში მოპოვებულ გრანდიოზულ წარმატებათა პროპაგანდა. ამ მიზნით ფართოდ და უნარიანად უნდა გამოვიყენოთ მასებში პოლიტიკური მუშაობის ყველა საშუალება: პოლიტიკური განათლების კაბინეტები და ლექტორმომხსენებელთა ჯგუფები, გაზეთები და რადიო, კულტურის სახლები და კინო, კლუბები და ბიბლიოთეკები.

პარტიის XXI ყრილობის მნიშვნელობისა და ჩვენი ქვეყნის შესანიშნავი მიღწევების პროპაგანდაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს თვალსაჩინო აგიტაციამ, რომელიც მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ერთერთი მძლავრი საშუალებაა.

თვალსაჩინო აგიტაცია მთელი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის განუყოფელი ნაწილია. იგი პარტიული ორგანიზაციის თანაშემწეა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებისათვის, საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში. მთავარი თვალსაჩინო აგიტაციაში ის არის, რომ იგი არ ჩამორჩეს ცხოვრებას, იყოს ოპერატიული, კონკრეტული, მებრძოლი და მიზანსწრაფული.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თვალსაჩინო აგიტაცია მრავალფეროვანი და საინტერესო იყოს. თვალსაჩინო აგიტაციის ყველა ფორმა და საშუალება — ლოზუნგები, პლაკატები, ტრანსპარანტები, ფურცლები „ელვა“, დიაგრამები, შეჯიბრების მაჩვენებელთა დაფები, საპატიო დაფები, მისალმებები, წუნის დაფები, საპატიო წიგნები, გარდამავალი წითელი დროშები და ვიმპელები, პლაკატები მოწინავეთა გამოცდილებაზე, კარიკატურული ჩანახატები და სხვა, — საჭიროა სცემდეს ერთ წერტილში, გამიზნული იყოს ერთი აზრით: ღირსეულად შევხვდეთ პარტიის მომავალ XXI ყრილობას, სასახელოდ შევასრულოთ საყრილობო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები!

ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის პარტიული ორგანიზაცია უნარიანად იყენებს თვალსაჩინო აგიტაციას, როგორც მასებში პოლიტიკური მუშაობის შემომწმებულ და ნაკად ფორმას. საწარმოს შესასვლელიდან მოკიდებული შიდასაქარხნო გზები, მოედნები, ხეივნები, გაზონები, საამქროთა კორპუსები დამშვენებულია ლამაზად გაფორმებული პანოებით, სტენდებით, ლოზუნგებით, პლაკატებითა და დიაგრამებით, რომლებიც ავტომობილმშენებლებს მოუწოდებენ მაღალნაყოფიერი შრომისაკენ. ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისაკენ. ამ დღეებში ქარხნის ეზოში და საამქროებში გაჩნდა ახალი ლოზუნგები და პლაკატები: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალ რიგგარეშე XXI ყრილობას — ღირსეული შეხვედრა!“, „სასახელოდ შეეასრულოთ მშობლიური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებები!“ და სხვ.

ქარხნის მთელი კოლექტივის მოწონებითა და ინტერესით სარგებლობს ილუსტრირებული სტენდი „ახალი ამბები“. სტენდი ოთხი განყოფილებისაგან შედგება. აქ წარმოდგენილია საამქროთა მიერ ყოველდღიური დავალების შესრულების მაჩვენებლები, მოწინავე ავტომობილმშენებელთა მხატვრულად შესრულებული პორტრეტები მათივე შრომითი წარმატებების აღნიშვნით. საწარმოში განხორციელებული ტექნიკური სიახლენი. მაღალდეფორმაციული. მებრძოლი. საინტერესო და ქმედითი თვალსაჩინო აგიტაცია ხელს უწყობს ქარხნის კოლექტივს იმაში, რომ ახალი შრომითი გამარჯვებები მოიპოვოს პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

უკანასკნელ დროს თვალსაჩინო აგიტაციის გაუმჯობესებას უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის, გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციები. პარტიის XXI ყრილობისთვის მზადების გაჩაღებასთან დაკავშირებით ამ პარტიულმა ორგანიზაციებმა შეარჩიეს ლოზუნგები და პლაკატები, გამოუშვეს ფურცლები „ელვა“ და სხვ. მაგრამ ყველგან ასე როდია. ბევრი პარტიული ორგანიზაცია მასების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის მძლავრი საშუალების — თვალსაჩინო აგიტაციის აუცილებლობას იჩენს, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ამ უმნიშვნელოვანეს უბანს. ამ მხრივ შეუწყნარებელი მდგომარეობაა, მაგალითად, ბათუმის რაიონის სოფელ ანგისის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში. ვერსად, ვერც კოლმეურნეობის კლუბში, ვერც ბიბლიოთეკაში, ვერც მეცხოველეობის ფერმასა და ჩაის პლანტაციაში ვერ ნახავთ ვერც ერთ ლოზუნგს, პლაკატს და დიაგრამას. წელს საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციამ ორჯერ განიხილა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხი. მაგრამ იმაზე, რომ თვალსაჩინო აგიტაცია თავმინებებულია, სიტყვაც არ თქმულა. აღსანიშნავია, რომ ანგისის კოლმეურნეობაში თვალსაჩინო აგიტაციის დაყენების მდგომარეობით აქამდე არ დაინტერესებულა პარტიის ბათუმის რაიკომი. პოლიტიკური აგიტაციის ამ დარგს ნაკლები ყურადღება ექცევა თეთრი წყაროს რაიონის მთელ რიგ საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებშიც.

პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესონ პოლიტიკური აგიტაციის, კერძოდ, თვალსაჩინო აგიტაციის იდეური შინაარსი, გახადონ იგი უფრო მებრძოლი და ქმედითი. ამ მიზნით მათ სისტემატურად უნდა მოაწყონ სემინარები თვალსაჩინო აგიტაციის საკითხებზე, უზრუნველყონ ამ დარგში შეძენილი მოწინავე გამოცდილების ყველა პარტიულ ორგანიზაციაში გავრცელება. საჭიროა კარგად მოვიფიქროთ თვითეული ლოზუნგი და პლაკატი, გემოვნებით გავაფორმოთ სპატიო დაფები და სტენდები. რათა ისინი შორიდანვე იზიდავდნენ და ინტერესს აღუძრავდნენ მშრომელს. აღათრთოვანებდნენ მას სამშობლოს საკეთილდღეო შრომისათვის.

თვალსაჩინო აგიტაციის ყველა ფორმა და საშუალება ხელს უნდა უწყობდეს პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღებას, ეხმარებოდეს კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ადამიანებს ახალი შრომითი გამარჯვებების მოპოვებაში.

★

10 თვის გეგმა შეასრულეს

ახალციხის ქვანახშირის მაღაროთა სამმართველოს № 2 შახტის კოლექტივმა (შახტის უფროსი ს. ანისონიანი) 18 სექტემბრისათვის შეასრულა ქვანახშირის ამოღების 10 თვის საწარმოო გეგმა.

საუკეთესო წარმატებას მიაღწია იმ ხაექსპლოატაციო უბანმა, რომელსაც სამთო ოსტატი ა. პრივალენკო ხელმძღვანელობს.

პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან და მომავალი წლის ანგარიშში იღებენ ქვანახშირს შახტის მოწინავე მნგრეველები ა. შუბითიძე, დ. გრიგალაშვილი, გ. ხარაიშვილი, ი. აბრამოვი, ს. გურგენიანი და ვ. ფაშოიანი, ისინი ცნობილი დონბასელი მეშახტის ნ. მამაის მაგალითისამებრ მუშაობენ და ყოველ ცვლაში გეგმის გადამეტებით 4-5 ტონა ქვანახშირს იღებენ.

შახტის კოლექტივი ურთსულოვნად იბრძვის იმისათვის, რომ ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავისათვის გაანაღდოს.

ბ. ხვადაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ხურათზე: თბილისის ჩაის გადამწონი ფაბრიკის ცვლის ოსტატი შ. ეფრემიძე (მარჯვნივ) ამოწმებს პროდუქციის შეფუთვის ხარისხს. მარცხნივ — მოწინავე მემანქანე ნ. სავენკოვა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის წარმატება ხილის დამზადებაში

აფხაზეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს ხილის დამზადების გეგმა. თესლოვანი ხილის დამზადების დავალება შესრულებულია 102,7 პროცენტით, კურკოვანი ხილისა — 188,6 პროცენტით.

ხილის დამზადება გრძელდება. (საქდესი).

ვადაზე ოთხი დღით ადრე

ტყიბული, 27 სექტემბერი. (საქდესი). ორჯონიკიძის შახტის კოლექტივმა ვადაზე ოთხი დღით ადრე შეასრულა ქვანახშირის ამოღების ცხრა თვის საწარმოო გეგმა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შახტის კოლექტივმა 19 პროცენტით გაადიდა ქვანახშირის ამოღება და სახელმწიფოს დაუზოგა მილიონ მანეთზე მეტი თანხა.

დადგნენ რა პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, მეშახტეები სისტემატურად ასრულებენ ქვანახშირის ამოღების გეგმებს. უბანი, რომელსაც დ. ტუკვაძე ხელმძღვანელობს, დღე-ღამეში იღებს 9-10 პროცენტით მეტ ქვანახშირს, ვიდრე გეგმითაა გათვალისწინებული.

მეჯი სილოსი დავუმზადოთ პირუტყვს

ჩვენი რესპუბლიკის მრავალმა რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა სილოსის დამზადების გეგმა და ახლა გაჩაღებულია ბრძოლა გეგმის გადამეტებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის. სილოსის დამზადების გეგმები კარგა ხანია შეასრულეს ასპინძის, ადიგენის, ხაშურის, ქარელის, ბორის, ყასპის, ბორჯომის, წალკის, გურჯაანის, წითელწყაროს, კაჩრეთის, ახმეტის, მცხეთის, მარნეულის, ბოლნისის, საგარეჯოს და სხვა რაიონებმა. ისინი ამჟამად სილოსის ჩადებას განაგრძობენ ნაკისრი ვალდებულების ანგარიშში.

მაგრამ არიან ისეთი რაიონები, რომლებსაც დღემდე არ შეუსრულებიათ სილოსის დამზადების დავალებები. მაგალითად, ახალქალაქის რაიონში 25 სექტემბრისათვის გეგმა შესრულებული იყო 84,1 პროცენტით, ბოგდანოვკის — 95,8 ახალციხის — 96,5, დუშეთის — 76,5, თიანეთის — 43,4, თეთრი წყაროს — 78,9, სიღნაღის — 78,5, თელავის — 78,9 ყვარლის — 75,3, გარეჯიბნის — 67,1, გარდაბნის — 73,4, გეგეჭკორის — 65,5, ჩხოროწყუს — 59,5, ლანჩხუთის — 64,5, ჩოხატაურის — 50,4, წულუკიძის რაიონში — 60,2, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 40,5, ხოლო აჭარის ასს რესპუბლიკაში — 62 პროცენტით.

სილოსის ჩადების ვადები იწურება. საჭიროა ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ქმედითი ღონისძიებები განახორციელონ და უფრო გააძლიერონ სილოსის დამზადების ტემპი, უზრუნველყონ პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით განაღდება.

მეტი სილოსი დავუმზადოთ პირუტყვს და მივაღწიოთ წველადობის შემდგომ მკვეთრ ზრდას.

ნ. პლატონიძე.

მექანიზმების წარმადობის გაღიდებით

თბილისის ჩაის გადამწონი ფაბრიკის კოლექტივმა სერიოზული საწარმოო წარმატება მოიპოვა პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში — 23 სექტემბრისათვის შეასრულა პროდუქციის გამოშვების 9 თვის გეგმა. თვის ბოლომდე ფაბრიკის კოლექტივი გეგმის გადამეტებით გამოუშვებს 9 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქციას.

გადამწონავებმა ამ მნიშვნელოვან წარმატებას მანქანების წარმადობის გადიდების შედეგად მიაღწიეს. ისინი სასახელოდ ანადგენენ ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებას შემფუთავი ავტომატების წარმადობის გადიდების საქმეში. ფაბრიკის კოლექტივის ვალდებულება იყო ერთი ავტომატის წარმადობა ცვლაში 50-გრამიანი შეფუთვის დროს აეყვანა 1.275 კილოგრამამდე, ხოლო 25-გრამიანი შეფუთვისას — 670 კილოგრამამდე. ახლა თვითეული ავტომატი ცვლაში საშუალოდ ფუთავს 1.300 კილოგრამ ჩაის 50-გრამიან კოლოფებად და 675 კილოგრამ ჩაის 25-გრამიან კოლოფებად.

მანქანების წარმადობის გადიდებაში წვლილი შეაქვთ ფაბრიკის რაციონალიზატორებსა და ნოვატორებს. ტექნიკოსმა ნ. ლომსაძემ განახორციელა ლიფტის ელექტრობლოკირება, რამაც მისი წარმადობა დაახლოებით ორჯერ გაადიდა. მნიშვნელოვანი ტექნიკური გაუმჯობესების ავტორია ინჟინერი მ. ხელაძე. მან ამწე მექანიზმებს გაუკეთა სპეციალური მოწყობილობა, რამაც უზრუნველყო ამ მექანიზმების ავტომატური ჩართვა-გამორთვა.

საწარმოო სიმძლავრეთა გადიდებისათვის ნაყოფიერად შრომობენ მექანიკური ხაამქროს უფროსი ი. ბოლქვაძე, ზეინკლები ი. ლისენკო, ა. ყურძელაძე და სხვები, რომლებმაც შექმნეს მაგნიტური სეპარატორი. ახალი მექანიზმი რამდენიმე საწარმოო პროცესს ასრულებს და საგრძნობლად აუმჯობესებს გამოშვებული პროდუქციის ხარისხს. ახლა ფაბრიკაში თითქმის ყველა პროცესი მექანიზებული და ავტომატიზებულია.

ავტომატების, მექანიზმების საფუძვლიანი დაუფლების შედეგად ფაბრიკის მოწინავე მუშები გადაჭარბებით ასრულებენ ყოველდღიურ ნორმებს. პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ზ. ივანიშვილი, თ. ჯავახიშვილი, ნ. ჭინჭარაული, მ. რასტოპოვა, რომლებიც ცვლაში ნორმის გადამეტებით 100-150 კილოგრამ ჩაის ფუთავენ.

რაც უფრო ახლოვდება პარტიის XXI ყრილობის მოწვევის თარიღი, მით უფრო მაღლდება შრომის ტემპი თბილისის ჩაის გადამწონი ფაბრიკის საამქროებში, საწარმოო უბნებზე. ფაბრიკის მთელი კოლექტივი თავდადებით შრომობს, რომ 23 დეკემბრისათვის გაანაღდოს პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება და გეგმის გადამეტებით მოსახლეობას მზაწოდოს რამდენიმე მილიონი მანეთით ღირებულების მაღალხარისხოვანი ქართული ჩაი.

ა. ხუნდაძე.

1.095 ათასი ცალი აგური გეგმის გადამეჭებით

ხაშური. (საკ. კორ.). მიმდინარე წლის დასაწყისიდანვე მაღალნაყოფიერად მუშაობს საქართველოს ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს ხაშურის აგურის ქარხნის კოლექტივი. მეაგურეებმა რვა თვეში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 130,5 პროცენტით შეასრულეს. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია მილიონ 95.000 ცალი წითელი აგური. ამასთან აქ შრომის ნაყოფიერება გაადიდეს 31,9 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შეამცირეს 0,9 პროცენტით. მათ სახელმწიფოს მისცეს 374.000 მანეთი მოგება. ამ წარმატებისათვის ქარხნის კოლექტივმა წელს ორჯერ მიიღო ფულადი პრემია.

საწარმოო გეგმების შესრულებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ქარხნის მოწინავე ადამიანების ვ. ხაჩიძის, ო. მალიძის, ქ. გელაშვილის, კ. ბითაძის და ა. კვესაძის კარგი მუშაობა.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ ვადამდე შეასრულა ცხრა თვის გეგმა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც ჩაბმული არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში, ვადამდე შეასრულეს საერთო პროდუქციის გამოშვებისა და უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაკეთობის წარმოების ცხრა თვის გეგმა. ცხრა თვეში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 461 მილიონი მანეთის პროდუქცია. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია თუჯი, მანქანები, საშენი მასალები, ქსოვილები, ტრიკოტაჟის ნაწარმი, ფეხსაცმელი, ჩაი, ღვინო, კონსერვები.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა პროდუქცია 10,2 პროცენტით გადიდდა. იმ საწარმოთა შორის, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს გეგმა, არიან: თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის ავტოქარხანა, საქენერგო, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი, ამერშუმსაქსოვი ფაბრიკა, მაუდ-კამოლის კომბინატი, № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა, ტრესტი „საქართველოს ჩაი“, სამტრესტი, კონსერვტრესტი და სხვ.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობაში ფართოდდება მუშაობა საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის. სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებმა შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა 5 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულეს.

თვის დამლევამდე დამატებით გამოშვებულ იქნება 200 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. (საქდესი).

ყაზახეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 603.587 ათასი ფუთი პური

ალმა-ათა, 26 სექტემბერი. (საკდესი). შემოდგომის ავდრის უძნელეს პირობებში მიმდინარეობს მოსავლის აღება ყაზახეთში. რესპუბლიკის ძირითად მარცვლეულის რაიონებში უკანასკნელი ხუთდღიურის მანძილზე თითქმის სამ დღეს განუწყვეტლივ წვიმდა, მოდიოდა სველი თოვლი, ჰაერის ტემპერატურა მკვეთრად შემცირდა. მექანიზატორები იყენებდნენ დარის ყოველ საათს. მოწინავე კომბაინერები ღვარეულებს აგროვებენ და პურს ლეწავენ ყოველ ამინდში.

ათასობით კომბაინერი, საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, კოლმეურნეები, სტუდენტები და ახალგაზრდობა, რომლებიც მეუყამირეებს ეხმარებიან მოსავლის აღებაში, ნამდვილ შრომითს გმირობას იჩენენ ამ გახურებული მუშაობის დღეებში.

მიუხედავად იმისა, რომ იძულებული არიან მუშაობა ხანგამოშვებით აწარმოონ, რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სექტემბრის ხუთხუთდღიურის განმავლობაში სახელმწიფოს ჩააბარეს 58 მილიონი ფუთი პური.

ხუთდღიურის დასაწყისში აკმოლინსკის, კოკჩეტავის, კუსტანაის, სემიპალატინსკისა და მთელ რიგ სხვა ოლქებში ძლიერი ქარბუქი იყო. ქარბუქს მოსავლისათვის არსებითი ზარალი არ მიუყენებია მხოლოდ იმიტომ, რომ მარცვლეული რესპუბლიკაში ძირითადად მომკილია და ღვარეულებად არის დაწყობილი.

25 სექტემბრისათვის ყაზახეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 603.587 ათასი ფუთი პური.

პარტია მიგვიძღვის წინ, კომუნიზმისაკენ

რუსთავის მშრომელები ჩვენი ქვეყნის მრავალმილიონიან ხალხთან ერთად უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას რიგგარეშე XXI ყრილობის მოწვევის შესახებ. ქარხნებში და მშენებლობებზე გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები. მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები, ყველა მშრომელი მხურვალედ იწონებენ პარტიის მიერ შემუშავებულ დიად გეგმას და იღებენ ახალ, გადიდებულ ვალდებულებებს, აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას პარტიის XXI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

XX ყრილობის შემდეგ დიდი ცვლილებები მოხდა ჩვენს ქარხანაში. იგი აღიჭურვა ახალი ტექნიკით, ამაღლდა წარმოების ტექნიკური დონე. საწარმოს კოლექტივი განუწყვეტლივ ზრდის პროდუქციის გამოშვებას. ქვეყანა ყოველდღიურად იღებს სულ მეტ და მეტ რუსთავის ლითონს, მილებს, ფოლადს. იზრდება საწარმოო სიმძლავრე, ხდება პროდუქციის ახალ სახეობათა ათვისება.

უკანასკნელ წლებში პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად განხორციელებულ იქნა მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი. მაგალითად, მარტენის ღუმელების საწიდრებიდან წიდის გამოყოფის მექანიზაციამ ხელი შეუწყო რემონტის დაჩქარებას და შეამსუბუქა მუშების შრომა. ღუმელების გადაყვანამ ორთქლით გაცივებაზე და ქრომმაგნეტიური კამერების დაყენებამ გაადიდა მეფოლადეთა შრომის ნაყოფიერება.

ბევრი ტექნიკური სიახლე იქნა დანერგილი საგლინავ საამქროში.

აგვისტოში ჩვენ, მეტალურგებმა, პირველად ვიდღესასწაულეთ მეტალურგის დღე. ამ თარიღს ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან ერთად ახალი წარმატებებით შეხვდნენ რუსთავის მეტალურგები. მეტალურგთა თავდადებული შრომა ღირსეულად დააფასეს პარტიამ და მთავრობამ. მეტალურგთა დიდი ჯგუფი დაჯილდოებულ იქნა მთავრობის ჯილდოებით.

ჩვენს სახელმოხვეჭილ მებრძმედეს, საამქროს უფროს ოსტატს ვ. კობერიძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, ხოლო 45 მეტალურგი, მათ შორის მეც, დაჯილდოებული ვართ საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

სწრაფი ტემპით წარმოებს ჩვენი მშობლიური ქალაქის მშენებლობა. მწყობრში დგებიან სულ ახალი და ახალი საცხოვრებელი სახლები, სკოლები, კლუბები. სამედიცინო დაწესებულებები. ყოველი მესამე მუშა ჩვენი ქარხნიდან სწავლობს ინსტიტუტში, ტექნიკუმში ან საშუალო სკოლაში, ან კიდევ შრომის მოწინავე მეთოდების შემსწავლელ სკოლაში.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა უკანასკნელ წლებში უმაგალითო ტემპებით ვითარდება. განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება მძიმე ინდუსტრია — ჩვენი ეკონომიკის საფუძველი. ვეტად სასიხარულოა ცნობები იმის შესახებ, რომ ჩვენ გავუსწარით ამერიკის შეერთებულ შტატებს რკინის, მადნის, ქვანახშირის, თუჯის, ფოლადის, ცემენტის, შალის ქსოვილების წარმოების ზრდით. 40 წელიწადში, 1918-დან 1957 წლამდე, სსრ კავშირში მრეწველობის პროდუქციის მატების საშუალო წლიური ტემპი შეადგენდა 10 პროცენტს, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 3,2 პროცენტს, ინგლისში — 1,9 პროცენტს, საფრანგეთში — 3,2 პროცენტს. ეს ციფრები ლაპარაკობენ სოციალისტური წარმოების უპირატესობაზე კაპიტალისტურ წარმოებასთან შედარებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი შემოქმედებითად ავითარებენ და ამდიდრებენ მარქსიზმ-ლენინიზმს. პარტია ყოველ ეტაპზე ახერხებს გამონახოს მთავარი რგოლი, რომლის ხელის ჩაჭიდებითაც წყვეტს ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ამოცანებს. მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითად გამოყენების ნიმუშია სკკპ XX ყრილობის, აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი.

და იმ დროს, როცა პარტია წარმატებით ახორციელებს კომუნიზმის მშენებლობის ლენინურ ხაზს, გამოჩნდნენ პოლიტიკურად ბეცი ადამიანები მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის და მათთან მიმხრობილი შეპილოვის სახით, რომლებიც წინ ეღობებოდნენ პარტიის ხაზს. ცდილობდნენ ჩაეშალათ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულება. სწორად მოიქცა პარტია, როცა მათ გამანადგურებელი პასუხი გასცა. პარტიის ამ გადაწყვეტილებას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მთელმა საბჭოთა ხალხმა.

ჯერ სამი წელიც არ გასულა პარტიის XX ყრილობიდან, მაგრამ რა ნაბიჯები გადაიდგა წინ, რა ბევრი რამ გააკეთა პარტიამ ხალხისათვის.

ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი წინსვლა კიდევ უფრო სწრაფი იქნება მას შემდეგ, როცა პარტიის XXI ყრილობა განიხილავს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებს. ეს იქნება გიგანტური ნაბიჯი კომუნიზმის მშენებლობაში. ამ გეგმის საფუძველზე უდიდესი ძვრები მოხდება ჩვენი ქარხნების ცხოვრებაშიც. გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად გაიზარდოს თუჯის, ფოლადის, ნაგლინის და სხვა პროდუქციის გამოშვება. უფრო გაიზრდება და გალამაზდება ჩვენი ქალაქი.

მთელ ჩვენს ქვეყანაში ახლა გაჩაღებულია პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. ამ საერთოსახალხო მოძრაობაში აქტიურად ებმება ჩვენი ქარხნის კოლექტივიც. თვითეული მუშა გამსჭვალულია ერთი მიზნით: მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდეს მშობლიური ლენინური პარტიის XXI ყრილობას.

შ. შუბითიძე,
ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი.

უფრო ახლოს პრაქტიკასთან, უფრო ახლოს ცხოვრებასთან

★

ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის გაუმჯობესების საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირი საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში

★

საქართველოს მშრომელები უდიდესი ინტერესით ეცნობიან ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის ბარათს „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“, ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი სწავლების სრულყოფისა და მოზარდი თაობის აღზრდისადმი კომუნისტური პარტიის განსაკუთრებული ყურადღების კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა.

სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში სახალხო განათლების განვითარების, ადამიანიერებულ სპეციალისტთა მომზადების საქმეში დიდი წარმატებები აქვს ჩვენს რესპუბლიკას. შექმნილია დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების ფართო ქსელი, მუშაობს 19 უმაღლესი სასწავლებელი და მრავალი ტექნიკუმი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის XX ყრილობის შემდეგ რესპუბლიკაში დიდი მუშაობა იქნა გაწეული სწავლების პოლიტექნიზაციის, ცხოვრებასთან აღზრდის კავშირის განმტკიცების დარგში.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის ბარათმა საშუალო და უმაღლესი სკოლების წინაშე ახალი მომწიფებული ამოცანები დააყენა. უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ, სკოლების პედაგოგებმა სერიოზულად და ყურადღებით უნდა შეისწავლონ ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი, ფართოდ განიხილონ. იგი თავიანთ კოლექტივებში.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის ბარათთან დაკავშირებით უმაღლესი სასწავლებლების წინაშე მდგომ ამოცანებს, აგრეთვე რესპუბლიკის უმაღლეს სკოლებში ახალი შევსების მიღების შედეგებს მიეძღვნა უმაღლესი სასწავლებლების, განათლების ორგანოების ხელმძღვანელთა თათბირი ხელმძღვანელი პარტიული მუშაკთა მონაწილეობით, რომელიც 25 სექტემბერს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში მოეწყო.

თათბირი გახსნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მეჟავანაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში ცოტა მუშაობა როდი იქნა გაწეული საშუალო სკოლაში ცხოვრებასთან სწავლების კავშირის განსამტკიცებლად; მომზადებულია მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოზარდი თაობის შრომითი აღზრდის შემდგომ გაუმჯობესებას.

თეორიისა და პრაქტიკის მოწყვეტა ძლიერ იგრძნობა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებშიც. სტუდენტები არ იღებენ აუცილებელ პრაქტიკულ ჩვევებს და ამის შედეგად ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ არ შესწევთ დამოუკიდებლად მუშაობის უნარი. ეს უწინარეს ყოვლისა ხდება იმიტომ, რომ უმაღლეს სასწავლებელთა უმრავლესობა მუშაობს საწარმოო ბაზისაგან მოწყვეტით, მთელი ყურადღება გადატანილია სტუდენტთა მხოლოდ წმინდა თეორიულ მომზადებაზე.

აუცილებელია, ამბობს ამხ. მეჟავანაძე, დეტალურად მოვიფიქროთ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების გარდაქმნის გზები, განვამტკიცოთ მათი კავშირი საწარმოებთან და საჭიროების შემთხვევაში ზოგიერთი ინსტიტუტი გადავიტანოთ კიდეც თბილისიდან და ამით მივუახლოოთ ისინი უშუალოდ წარმოებას.

დასამალი არ არის, აღნიშნავს იგი, რომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ზოგიერთ სტუდენტს შეუძლია კარგად და სწორად გვიამბოს პურეულის გაყოფით (ორ ფაზად) აღებაზე და თვითონ კი არ შეუძლია მართოს ტრაქტორი ან კომბაინი. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ სტუდენტები სოფლის მეურნეობის წარმოების კონკრეტულ საკითხებს ეცნობოდნენ არა წელიწადში ერთხელ— საწარმოო პრაქტიკის დროს, არამედ მუდმივად.

ამჟამად ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება მივუახლოოთ ცხოვრებას, დავუკავშირდეთ ცხოვრებას, ამ მიზნით ბევრი ამოცანა დასახეს ინსტიტუტებმა, ინსტიტუტებმა, ინსტიტუტებმა,

ერთიანი იერსახითაა

ლიტერატურა და ხელოვნება

სსრ კავშირის აკადემიური დიდი თეატრის გასტროლები

ნიჭიერი კოლექტივის შემოქმედებითი გამარჯვება

თბილისის საზოგადოებრიობამ, რომელიც დიდი სიხარულით შეხვდა სსრ კავშირის დიდი თეატრის ჩამოსვლას ჩვენს დედაქალაქში, განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა მისი საოპერო და საბალეტო სპექტაკლებისადმი, რომლებშიც ნათლად გამოვლინდა ერთი მხრივ რეპერტუარის ნაირფეროვნება, ხოლო მეორე მხრივ ამ ჟანრებისადმი ნიჭიერი დასის მაღალი პროფესიული დონე, შემსრულებლობითი ოსტატობა, დახვეწილი გემოვნება.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა მომთხოვნმა მსმენელმაც თავიდანვე აუღო ალღო ამ მძლავრი კოლექტივის მხატვრულ ღირსებას, მის მნიშვნელოვან როლს საბჭოთა საოპერო ხელოვნების განვითარებაში და მოუთმენლად ელოდა საზოგადოების წინაშე მის საჯარო გამოსვლას სიმფონიური პროგრამით. ამ ინტერესს კიდევ უფრო აღვივებდა ის გარემობა, რომ სიმფონიური კონცერტის პროგრამაში შედიოდა კლასიკური მუსიკალური ლიტერატურის ორი შესანიშნავი ქმნილება — ბეთჰოვენის უვერტიურა „ლეონორა № 3“ და, განსაკუთრებით, მეცხრე სიმფონია, რომელიც იშვიათად სრულდება არა მარტო ჩვენში, არამედ სხვა ქალაქების თეატრებშიც.

ეს პროგრამა, რომელიც არაერთხელ შეუსრულებია ამ კოლექტივს, მუდამ მოწონებას იმსახურებდა. ახლაც ამ გენიალურმა ნაწარმოებებმა დიდი სიხარული და სიამოვნება მოგვანიჭა.

ეს ორი ნაწარმოები, მიუხედავად იმისა, რომ მათი შექმნის თარიღები ოცი წლით არის ერთიმეორეს დაშორებული, თავის იდეურ-მხატვრული შინაარსით ერთმანეთს ეხმაურება. როგორც ოპერა „ფიდელიოში“, რომლის უვერტიურასაც წარმოადგენს „ლეონორა“, ასევე მეცხრე სიმფონიაში ბეთჰოვენი ადიდებს მეგობრობის გრძნობას, თავგანწირვას, იდეალურ სიყვარულს და სიხარულს.

გენიალური კომპოზიტორი ღრმად ჩასწვდა ადამიანის სულიერ სამყაროს, კარგად შეიგრძნო მისი ნათელი და ჩრდილოვანი მხარეები მთელი მათი სირთულით. ამიტომ არის, რომ მისი გმირები დაჯილდოებული არიან ადამიანური გრძნობებით, რაც მიმართულია სიკეთისაკენ ბოროტების დასათრგუნავად. ეს მკაფიოდ მეღავნდება „ლეონორაში“, სადაც ლეონორას და ფლორესტანის განცდების დრამატიზმის ასახვისას ან ლეონორას მხატვრული სახის გამოძერწვისას ბეთჰოვენი ნაწარმოების განვითარებას წარმართავს სიბნელიდან სინათლისაკენ, ტრაგიზმიდან სიხარულისა და სიყვარულის პიმნისაკენ.

ბეთჰოვენის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი სიმფონიური შემოქმედების უკანასკნელი ოპუსი — მეცხრე სიმფონია, მონუმენტური და ნოვატორული ნაწარმოები, რომელიც განცალკევებით დგას არა მარტო ბეთჰოვენის შემოქმედებაში, არამედ საერთოდ მუსიკალურ ლიტერატურაში.

ამ ქმნილებით კომპოზიტორმა საგრძნობლად გაიფართოვა ციკლური სიმფონიური ნაწარმოებების საზღვრები, გაახალისა ორკესტრული ფერებით, მუსიკალური გამომსახველობის ახალი ხერხებით.

სსრ კავშირის დიდი თეატრის ორკესტრმა ეს მეტად რთული ორი სიმფონიური ნაწარმოები სათანადო მხატვრულ დონეზე შეასრულა და მათი ღრმა იდეური შინაარსი დამაჯერებლად გადმოსცა. საუცხოოდ ჟღერდა ორკესტრის სიმებიანი ჯგუფი, რომელიც გამოირჩევა დაკვრის მაღალი ოსტატობით, ინტონაციის სისუფთავით, მოქნილი ნიუანსებით, რთული შტრიხების დაძლევისა და მღერადი თუ დინამიკურად დაძაბული ეპიზოდების მკაფიოდ გამოყოფის უნარით.

როგორც ცნობილია, ბეთჰოვენის სიმფონიურ ნაწარმოებებში და, კერძოდ, მეცხრე სიმფონიაში დიდი როლი ენიჭება აგრეთვე ორკესტრში შემავალ ჩასაბერ საკრავთა ჯგუფს, განსაკუთრებით ხის ჩასაბერ საკრავებს, რომელთაგან ხშირად თვითეული გამოყენებულია როგორც სოლო საკრავი, რაც დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს შემსრულებელს, მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყოველმა მათგანმა წარმატებით შეასრულა თავისი რთული პარტია და ყურადღება მიიპყრო ფაქიზი მუსიკალური გემოვნებით, განვითარებული ტექნიკით, ტემბრის ნაირსახეობით.

ასევე მაღალ დონეზე იდგა თითბრის ჩასაბერ საკრავთა ჯგუფი, რომელმაც თავი გაართვა სიძნელეებს და ზუსტი და მკაფიო შესრულებით მოიპოვა მსმენელთა ყურადღება და გააძლიერა საერთო შთაბეჭდილება.

დიდი შთაბეჭდილება დატოვა ვოკალურმა კვარტეტმა, რომელსაც შეადგენდნენ ისეთი დახელოვნებული მომღერლები, როგორიც არიან რსფსრ სახალხო არტისტი ი. პეტროვი, რსფსრ სახალხო არტისტი ვ. ფირსოვა, რსფსრ სახალხო არტისტი ვ. ივანოვსკი და ოპერის სოლისტი გ. გალჩიანი. ერთი მხრივ მაღალ ტესიტურაში, ხოლო მეორე მხრივ ინსტრუმენტული ხერხით დაწერილი პარტიები კვარტეტის ყველა მონაწილემ საუცხოოდ დაძლია და თავისუფლად შეასრულა, ამასთანავე ღრმად ჩასწვდა ნაწარმოების მხატვრულ-იდეურ შინაარსს და შექმნა დასამახსოვრებელი მუსიკალური სახე. ვ. ფირსოვას მოქნილი დრამატული სოპრანო, გ. გალჩიანის კომპაქტური მეცო-სოპრანო, ვ. ივანოვსკის რბილი ტემბრის ტენორი და ი. პეტროვის ხავერდოვანი ბანი ერთიმეორეს ავსებდა და სრულყოფილ ანსამბლს ქმნიდა.

მსმენელებში ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა საგუნდო კოლექტივმა, რომელმაც პოლიფონიურად რთული ნაწარმოების შესრულებით ნათლად გამოავლინა მაღალი პროფესიულობა, ყველა რეგისტრში ხმის დაუფლება, ანსამბლური შესრულების მაღალი დონე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დიდი თეატრის მთავარი დირიჟორი სსრ კავშირის სახალხო არტისტი, გამოჩენილი მუსიკოსი ა. მელიქ-ფაშაევი. მან საქმისადმი სიყვარულის, ენერგიული მუშაობის შედეგად ფრიად სიმპათიური მხატვრული კოლექტივი შექმნა.

ა. მელიქ-ფაშაევის მუსიკალური ტალანტის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს შინაარსში ღრმად ჩაწვდომა, საორკესტრო კოლექტივის მძაფრი შეგრძნება და საორკესტრო ტექნოლოგიის მთავარი მხარეების სათანადო ცოდნა.

აქვე აღვნიშნავთ გუნდის მთავარი ლოტბარის მოვალეობის შემსრულებლის ა. რიბნოვის, გუნდის ლოტბარის ა. ხაზანოვის ნაყოფიერ მუშაობას, რომელმაც როგორც ოპერების, ისე მეცხრე სიმფონიის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი.

დიდი თეატრის ნიჭიერ კოლექტივს ვუსურვებ შემდგომ ზრდასა და შემოქმედებითს გამარჯვებას.

პროფესორი
გრიგოლ ჩხიკვაძე.

ჯ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ მეორე გამოცემა ფრანგულად

როგორც ცნობილია, იანვარში „ფრანგ გამომცემელთა გაერთიანებამ“, რომლის დირექტორია ლეი არაგონი, პარიზში ფრანგულ ენაზე გამოსცა კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“.

რომანმა ფრანგ მკითხველებში მაღალი შეფასება დაიმსახურა. დაიწერა საუკეთესო რეცენზიები, წიგნი რამდენიმე დღის შემდეგ ბაზარზე აღარ იშოვნებოდა. ამიტომ გამომცემლობამ გადაწყვიტა წიგნის ხელმეორედ გამოცემა.

ამ დღეებში „დიდოსტატის მარჯვენის“ ავტორმა მიიღო მეორე გამოცემა, რომელიც ჩასმულია ლამაზ ყდაში.

წიგნი შეიცავს 351 გვერდს და ღირს 650 ფრანკი.

ს. თურნავა.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა კონფერენციისადმი მიძღვნილი საღამო

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალაგოწმენდეთებელი ქარხნის საერთო საცხოვრებელი სახლის წითელ კუთხეში ქარხნის კლუბთან არსებულმა ლიტერატურულმა წრემ მოაწყო აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა კონფერენციისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო.

საღამოზე მოხსენებით თემაზე — „აზიისა და აფრიკის ქვეყნების ლიტერატურა“ გამოვიდა ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი პოეტი ვ. გორგანელი. აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა ნაწარმოებების ქართული თარგმანები დამსწრეთ გააცნეს წრის წევრებმა ლ. ჭავჭავაძემ, ლ. ბედენაშვილმა, ნ. შიუკაშვილმა, გ. კაზაროვმა, გ. ზოზიაშვილმა. საკუთარი ლექსი წაიკითხა ოსმა პოეტმა ილია კაკაზაგმა.

ვახტანგ გორგასალის ძეგლის საკონკურსო პროექტების გამოფენა

დღეს 12 საათზე საქართველოს სსრ სახელმწიფო სურათების გალერიაში გაიხსნება თბილისის დამაარსებლის ვახტანგ გორგასალის ძეგლის საკონკურსო პროექტების გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია 19 პროექტი მაკეტებითა და ქანდაკების მოდელებით.



ახალი ამბები. ნახატი ირ. თოიძისა.

ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები

კომპოზიტორი ა. ბალანჩივაძე მუშაობს თბილისისადმი მიძღვნილ სიმფონიაზე, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. მაჭავარიანმა დაწერა სიმღერა „მთაწმინდას ესმის“.

ო. თაქთაქიშვილმა თბილისს უძღვნა სამი ვოკალური ციკლი, რომლებიც შექმნილია თანამედროვე პოეტების და ვაჟა-ფშაველას ლექსების ტექსტებზე, აგრეთვე „კანტატა თბილისზე“. თბილისისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები შექმნეს კომპოზიტორებმა ა. კერესელიძემ, ს. ნასიძემ, ბ. კვერნაძემ, რ. ლაღიძემ და სხვებმა.

ქართველი კომპოზიტორები მუშაობენ საოპერო მუსიკაზე. ახალგაზრდა კომპოზიტორებმა ი. გეჯაძემ და ო. თევდორაძემ უკვე დაამთავრეს მუშაობა ახალ ოპერებზე. ახალ ოპერებს წერენ კომპოზიტორები ა. მაჭავარიანი და შ. მშველიძე.

კომპოზიტორი ბ. კვერნაძე წერს ბალეტს „მამელუკები“, რომელსაც დადგამს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი. კომპოზიტორმა ი. გოკელმა უკვე შექმნა საბავშვო ოპერა „წითელქუდა“.

საბჭოთა კავშირის მხატვართა გამოფენა

ფოთი. (საკ. კორ.). ამას წინათ ფოთის კულტურის სახლში მოეწყო საბჭოთა კავშირის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ფერწერის, ქანდაკებისა და გრაფიკის 200-მდე ნიმუში. გამოფენაზე წარმოდგენილმა სურათებმა დამთვალიერებლების დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც თემატურად, ისე შესრულების ტექნიკის მხრივ. მოწონება დაიმსახურა აგრეთვე გრაფიკოსებისა და მოქანდაკეების ნამუშევრებმა.

მეგრძოლი ლიტერატურა

აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა ტაშკენტის კონფერენციის პესახვედრად

კონფერენციის ემბლემა.

★

საბჭოთა აღმოსავლეთის მთა-ბარს ახალი ცხოვრების შუქი ადგას, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიადი რევოლუციის მიერ ანთებული. ეს შუქი ანთია იქ, სადაც ამ ნახევარ საუკუნეზე ცოტა ხნის წინათ ავბედითი სიღელეურე იყო და ფეოდმყარი ჩანდა ძველი ფეოდალურ-ბაიური და მეფის თვითმპყრობელობის უმოწყალო კოლონიური პოლიტიკის სამყარო.

ყოველივე ეს ისტორიას ჩაბარდა დიდი ხანია და ძნელია წარმოიდგინო, რომ ძველი ქვეყნის მორყეული ლბო სულ ოთხიოდე ათეული წლის წინ დაიცა. ასე არნახულად, მძლავრი რევოლუციური გაქანებით გარდაიქმნა ცხოვრება თვალუწვდენელ საბჭოთა აღმოსავლეთში, აყვავებულ რესპუბლიკებში — უზბეკისტანსა და თურქმენეთში, ყირგიზეთსა და ყაზახეთში, საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში, ტაჯიკეთში...

რას მოგვითხრობს რუკა

ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ სექტემბრის ნომერში მკითხველი ნახავს საბჭოთა აღმოსავლეთის რუკას. ის ბევრ რაშეს მოუთხრობს მას — კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმისა და კულტურული რევოლუციის ისტორიაში მომხდარი არნახული დიდი ცვლილებების შესახებ.

იქ, სადაც წერა-კითხვაც არ იცოდნენ, სადაც ადამიანთა მრავალი თაობა ცხოვრობდა და იხოცებოდა უცოდინარი, სადაც არასოდეს უძღერია სიმფონიურ მუსიკას და არ ახდილა თეატრალური ფარდა, სადაც მუზეუმების, კლუბების, გაზეთების, ბიბლიოთეკების, სამეცნიერო დაწესებულებების სახსენებელიც არ იყო — დღეს ათობით, ასობით და ათასობით დათვლება კულტურის კერები. რუკა მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ რვა მოკავშირე რესპუბლიკაში ასზე მეტი თეატრი და თითქმის ცხრა ათასამდე კინოდანადგარია, 145 მუზეუმი, 35 ათასამდე კლუბი და ბიბლიოთეკა, 680-ზე მეტი უმაღლესი სასწავლებელი და ტექნიკუმი, 600-ზე მეტი სამეცნიერო დაწესებულება. გამოდის თითქმის 1.300 გაზეთი.

ყოველივე ამის შესახებ, კულტურის აყვავებისა და მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის შესახებ მოგვითხრობს „დრუჟბა ნაროდოვის“ რედაქცია აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა მომავალი კონფერენციისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნომერში. კონფერენცია გაიხსნება ტაშკენტში ოქტომბრის პირველ რიცხვებში.

დელის შეხვედრების გახსენებისას

აზიის კონტინენტის მწერლები პირველად დელში შეხვდნენ ერთმანეთს. იგონებს რა ამ ამაღელვებელ და მნიშვნელოვან შეხვედრებს, ალექსეი სურკოვი შესავალ წერილში წერს: „დელის კონფერენციის მონაწილეებმა მხურვალედ მიიღეს წინადადება, რომ აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა მეორე შეხვედრა მოწყობილიყო საბჭოთა შუა აზიაში, საბჭოთა უზბეკეთის დედაქალაქში — ტაშკენტში. ეს იყო დაჩაგრული და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის სსრ კავშირის ხალხთა რევოლუციური გამოცდილების უდიდესი მნიშვნელობის თვალნათლივი, თუმცა არაპირდაპირი აღიარება“.

და შეიძლება ეჭვი არ შეეტანოთ, რომ ეს იქნება სიტყვის იმ მხატვართა მეგობრობისა და ძმობის კონფერენცია, რომლებიც ორი კონტინენტის ხალხებს წარმოადგენენ. მათ ელით მეგობრული, ყველაზე ძმური სტუმარ-მასპინძლობა.

„მე მინდა შევხვდე მათ ტაშკენტში“ — ასე დაასათაურა ტაშკენტური შეხვედრებისადმი მიძღვნილი თავისი წერილი ნიკოლოზ ტიხონოვმა. „ჩვენ ვნახავთ, — წერს პოეტი, — შემოდგომის ყველა საღებავით აფერადებულ ტაშკენტის ქუჩებში კაცობრიობის ახალი გაზაფხულის მოციქულებს. მათ შორის ბევრი იქნება ახალი, ჩვენთვის უცნობი ადამიანი, იქნებიან ძველი მეგობრებიც, რომლებსაც ყოველთვის გულით და სულით ვეგებებით“.

დელში ჩაეყარა მტკიცე საფუძველი მშვიდობის დაცვის კეთილშობილური მისწრაფებებით შთაგონებული მწერლების მეგობრობასა და თანამშრომლობას. იმ ამაღელვებელ დღეებს იხსენებს თავის შენიშვნებში სომეხი მწერალი გარეგინ სეგუნციც. იქ ბატონობდა „საერთო მაღალკაცობრიული იდეების ენა, თავისუფლებისა და სამართლიანობის ყველასთვის გასაგები ენა“.

მეგობრობის ენა

ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ საზეიმო ნომრის ფურცლებზე მთელი ძალით ისმის ეს მშვენიერი ენა, რომელიც ეგზომ ბევრს ეუბნება ყველა პატიოსანი, თავისუფლებისმოყვარე და მთელი მსოფლიოს ბედნიერებისა და მშვიდობის მსურველი ადამიანის გულსა და გონებას. ეს ენა ისმის უზბეკეთის ნათელი ცის ქვეშ და დაღისტნის მთებში, მზიურ საქართველოსა და მცხუნვარე ბაქოში, კიკლუც სომხეთში აღზრდილი პოეტების ლექსებში. ის ისმის ყაზახეთიდან, ადიღეურიდან, ჩეჩნურიდან, უდმურტულიდან, ყაბარდოულიდან, იაკუტურიდან, ტუვურიდან და ყალმუხურიდან თარგმნილ მრავალ მღელვარე ლექსში. მოთხრობებსა და ნოველებში, რვა რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების ქრონიკაში, მომე ლიტერატურათა მატიანეებში, რომლებიც ხშირად ალეთი სიტყვებით იწყება: „ოქტომბრის რევოლუციამდე რესპუბლიკას არ ჰქონდა თავისი დამწერლობა“. ხელოვნების, მუსიკისა და თეატრისადმი მიძღვნილ მასალებში ცოცხლდება საბჭოთა აღმოსავლეთის ხალხთა თავისუფალი ცხოვრება. საბჭოთა აღმოსავლეთისა, რომელიც ჩაუმქრალი, გზისმაჩვენებელი ჩირაღდანივით უნათებს აზიისა და აფრიკის ხალხებს, აღიარებს მათ საძულველი კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ და საუკეთესო იმედებს უნერგავს მათ გულში.

მრგვალ მაგიდასთან

მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურა მთელი მსოფლიოს წინაშე გამოდის როგორც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის კეთილშობილური და ჰუმანისტური იდეების შთაგონებული მესიტყვე. ჩვენი მწერლები ხალხთა ძმობის მოწინავე იდეოლოგიის სულისკვეთებით არიან აღზრდილნი. მათთვის ძირეულად უცხოა ნაციონალური შეზღუდულობისა და კარჩაკეტილობის ყოველგვარი გამოვლინება. მათ მიერ შექმნილი მრავალი ნაწარმოები ადასტურებს იმ უდიდეს ინტერესს, რომელსაც ისინი მთელი მსოფლიოს ხალხთა ცხოვრებისადმი იჩენენ. ისინი გატაცებით ემზადებიან ტაშკენტში აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერლებთან შეხვედრისათვის და ეს შეხვედრა ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების უდიდეს მოვლენად მიიჩნიეთ.

ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ ფურცლებზე, როგორც მეგობრულ მრგვალ მაგიდასთან, უკვე შედგა წინასწარი შეხვედრა. ამ ჟურნალის ბოლო ნომრის შინაარსი, ისე, როგორც არასოდეს, შეესაბამება ამ ჟურნალის სახელწოდებას. ალექსეი სურკოვის შესავალი სტატიის შემდეგ დაბეჭდილია გოპალდას საქსენინარაჯის ინდური ლექსები „არ უნდა იყოს ომი!“, ჰინდის ენაზე დაწერილი. ამ ლექსების რუსული თარგმანებით კარგად არის გადმოცემული მხურვალე გულის ფეთქვა პოეტისა, რომელიც ხმას იმაღლებს მშვიდობის დასაცავად.

პოეზიის მრგვალ მაგიდასთან გამოდიან ცნობილი ჩინელი პოეტები გო მო-ჟო და გე ბი-�o. მათთან ერთად გაისმის ახალგაზრდა მუშა პოეტების ტაო ბინის, და სინის ხმები, შემდეგ სიტყვას იღებენ კორეელები ლი ვონ უ და სონ ბონ რერი, პაკისტანელი ფაიზ აჰმად ფაიზი, ერაყელი რაშიდ ალ-იასინი, ლიბანელი რადვან აშ-შახალი, იაპონელი იამანაკა, იორდანიელი აბუ სალმა, ალჟირელი აბუ ალ-კასიმ საადალა; აქვე გამოდიან არაბი პოეტი ქალი აზიზა ჰარუნი, პოეტი და მოქანდაკე კენძულ იავადან ჰენდრა, სენეგალელი პოეტი ბირაგო დიოპი და სხვა პოეტები. მათი აზრები და გრძნობები გამბარია სამშობლოს სიყვარულით, მათი ლექსები გამოხატავენ მშობლიური ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. მშვიდობისათვის ბრძოლის ურყევ ნებას:

თავისუფლების ქარიშხალო,
დაიბობოქრე!
ყველგან და მუდამ იბობოქრე,
მშვიდობის ქარო!
ხალხთა გულებში — დასავლეთით,
აღმოსავლეთით,
სამხრეთითა და ჩრდილოეთით —
დაიბობოქრე!
მშვიდობის ქარო, იბობოქრე უფრო
ძალუმად!
რომ მსოფლიოში აელვარდეს ცის
დაფიონი,
და ისე მძლავრად შეაშფოთე
დამნაშავენი —
შაშმა და ძრწოლამ აიტანოს!..

„წაგლეჯილი ოკინავა“

პოეტების მიერ [illegible]ტაბაშესხმული „მშვიდობის ქარები“ და „თავისუფლების ქარიშხალი“, რომლებიც აფრიკისა და აზიის კონტინენტებზე ბობოქრობენ, გაცოფებულ და გაბოროტებულ წინააღმდეგობას აწყდებიან ამერიკელი კოლონიზატორების მხრივ, რომლებიც ყოველგვარი საშუალებებით ცდილობენ ჩაქრონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების ცეცხლი, ღღითიდღე უფრო და უფრო მძვინვარე რომ ხდება. მაგრამ მსოფლიოში არ არის ძალა, რომელსაც შეეძლოს დაანოქოს ხალხები, ვაჟკაცურად რომ იბრძვიან თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის წმიდათაწმიდა უფლებებისათვის.

იაპონელი მწერლის ასიხეი ხანოს ტრაგედია „წაგლეჯილი ოკინავა“, რომელიც „დრუჟბა ნაროდოვშია“ დაბეჭდილი, დიდი მხატვრული ძალითა და ცხოვრების სიმართლით გვიჩვენებს, თუ რა ზიზღს გრძნობენ იაპონელი პატრიოტები ამერიკელი ოკუპანტების მიმართ, რომლებმაც უცერემონიოდ წარიტაცეს ოკინავა თავიანთი სამხედრო ბაზის შესაქმნელად. ამერიკელ სამხედრო ხელისუფალთა ბატონობა იაპონიის მიწაზე პროტესტების ახალ ქარიშხალს იწვევს იაპონელი საზოგადოებრიობის უფართოეს წრეებში. ამიტომაც სავსებით გასაგებია ის უდიდესი წარმატება, რომელიც სცენაზე „წაგლეჯილი ოკინავას“ დადგმას ხვდა.

ამ ნაწარმოებში არის ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი. ჟურნალისტი ტოიოხირა უყვება თავის მეგობრებს, თუ როგორ მოეპყრო ოკინაველი ახალგაზრდობა ამერიკელთა ეშმაკურ წამოწყებას — მოეწყოთ მსვლელობა კომოდორ პერის, „ახლანდელი ოკუპანტების წინაპრის“ პატივსაცემად.

ტოიოხირა ყვება თავის მოთხრობას და სიამოვნებისაგან გულიანად იცინის. „გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან ბიჭებს! თავი მოიკლეს და ხელი არ მოჰკიდეს ამერიკულ დროშებს. როგორც ჩანს, ამ ავბედითი დღესასწაულის მომწყობთ სურდათ, რომ ბავშვებს იაპონურ დროშებთან ერთად შიგადაშიგ ამერიკული დროშებიც ჩაეტარებინათ. მაგრამ ბიჭები მისწრებაზე იტაცებენ წითელმზიან დროშებს. მათ ეუბნებიან: „ასე არ შეიძლებაო“. გაყვეს ისინი ორ ჯგუფად, ერთ ჯგუფს მისცეს ხაზებიანი და ვარსკვლავებიანი დროშები. როგორ გგონიათ? ჩვენმა პატარა პატრიოტებმა გადაყარეს ამერიკული დროშები და ცარიელი ხელებით წავიდნენ. ჰო, რა სახეები ჰქონდათ ჩვენს ადგილობრივ ამერიკელ კუდაბზიკებს! აი ის იყო სანახობა! ომის დამთავრების შემდეგ ამგვარი სიამოვნება არ მიგრძვნია! თქვენ თვითონ თქვით, დიდებულია, არა?!“.

ასიხეი ხანოს ბოლმიანი და ვაჟკაცური პიესა გადმოგვცემს სასულელელი უცხოელი მწერალი ქალის ცაო მინის მოთხრობას „სიმღერა გაზაფხულზე“. მწერალი მოგვითხრობს ახალგაზრდა მეფოლადის ენ ცინის განცდებზე, რომელმაც ზუსტად ახალი წლის წინ დაამთავრა თავისი ცელი.

ეს მცირე მოთხრობა მთავრდება ერთი შეხედვით მეტად უბრალო ფრაზით: „ღამე იყო ცივი, ენ ცინი კი მიდიოდა და მღეროდა გაზაფხულზე, ადრეულ ცისკარზე, მზეზე, რომელსაც არ უნდა ძილი“. მაგრამ მოთხრობის ასეთი დასასრული აღიქმება სიმბოლურად. ახალი ცხოვრების ჩაუქრობელი მზე ანათებს დიდი და თავისუფალი ჩინეთის ცაზე. ამ მზეს ნამდვილად „არ უნდა ძილი“. იგი უკვე არაერთი ათეული წელია დაჭნათის საბჭოთა აღმოსავლეთის თავისუფალი რესპუბლიკების მთა-ბარს. იგი სულ უფრო მაღლა მიიწევს აფრიკისა და აზიის ცაზე, რომელიც კოლონიალიზმის საზიზღარი უღლისაგან თავისუფლდება. ამ მზის ცხოველმყოფელი სხივები ათბობს ხალხთა გულებს, გზას უნათებს მსოფლიოს თავისუფლებისა ეროვნული დამოუკიდებლობისა და პროგრესისაკენ.

ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ სექტემბრის ნომერი, მიძღვნილი აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა ტაშკენტის კონფერენციისადმი, გამსჭვალულია ორი კონტინენტის პროგრესული ლიტერატურული ძალების ამხანაგური თანამშრომლობის სულისკვეთებით. ამ ფუძეშეურყეველი თანამშრომლობის მძლავრ ძალზე დამაჯერებლად მოგვითხრობენ „დრუჟბა ნაროდოვის“ ფურცლები.

„პრავდა“, 26 სექტემბერი.

ნ. ა. მუხიტდინოვი კაიროდან სამშობლოში გამოემგზავრა

კაირო, 26 სექტემბერი. (საკადესი). დღეს დილით კაიროდან სამშობლოში გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ნ. ა. მუხიტდინოვი, რომელიც აქ სტუმრად იყო 17 სექტემბრიდან არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის მოწვევით.

კაიროს აეროდრომზე ნ. ა. მუხიტდინოვი გააცილეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის წარმომადგენელმა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სწავლა-განათლების მინისტრმა ქამალ ედ-დინ ჰუსეინმა, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაჰმუდ ფაუზიმ და მთავრობის სხვა წევრებმა, მთელი რიგი ქვეყნების დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის არმიის გენერლებმა და ოფიცრებმა, საზოგადოებრიობისა და მუსლიმური სამღვდელოების წარმომადგენლებმა, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში მოჰამედ ელ-კუნიმ. ნ. ა. მუხიტდინოვი გააცილა აგრეთვე სსრ კავშირის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ბ. ი. გერასიმოვმა.

აეროდრომზე ნ. ა. მუხიტდინოვმა და ქამალ ედ-დინ ჰუსეინმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ნ. ა. მუხიტდინოვმა დიდი მადლობა გამოთქვა გულითადი მიღებისათვის და განაცხადა: „აქ ყოფნის დროს ჩვენ ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ არაბი ხალხი მეგობრულად არის განწყობილი საბჭოთა კავშირისადმი. მტკიცედ გვწამს, რომ ჩვენი ქვეყნების მეგობრობა განვითარდება და განმტკიცდება მთელი მსოფლიოს მშვიდობის საკეთილდღეოდ“.

ქამალ ედ-დინ ჰუსეინმა, მიმართა რა ნ. ა. მუხიტდინოვს, თქვა: „ჩვენი ხალხი ისეთივე ძმური გრძნობებით არის გამსჭვალული საბჭოთა ხალხისადმი, როგორც საბჭოთა ხალხი ჩვენდამი. ჩვენ ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ საბჭოთა ხალხსა და მის ხელმძღვანელებს“.

ნ. ა. მუხიტდინოვს ეწვივნენ აღჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მინისტრები

როცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ნ. ა. მუხიტდინოვი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში იყო როგორც არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის პირადი სტუმარი, ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრმა აბდალა ბენ ტობალმა და ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის ჩრდილოეთ აფრიკის საქმეთა მინისტრმა აბდელ ჰამიდ მეჰრიმ გამოთქვეს სურვილი ვიზიტი გაეკეთებინათ ნ. ა. მუხიტდინოვისათვის.

ა. წ 25 და 26 სექტემბერს ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მინისტრები აბდალა ბენ ტობალი და აბდელ ჰამიდ მეჰრი ეწვივნენ ნ. ა. მუხიტდინოვს მის რეზიდენციაში კაიროში და მათ შორის გაიმართა გულწრფელი და გულახდილი საუბარი.

გაეხსნა უნგრეთის სახელმწიფო კრების სესია

ბუდაპეშტი, 26 სექტემბერი. (საკადესი). დღეს აქ გაიხსნა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების სესია.

სესიის დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები: უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარის იშტვან დობის საანგარიშო მოხსენება; უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ფერენც მიუნიხის საანგარიშო მოხსენება; განხილვა კანონ-პროექტისა სახელმწიფო კრების და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა არჩევნების დებულებებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

ინციდენტი ჯაილანდ — კამბოჯის საზღვარზე

პნომ-პენი, 26 სექტემბერი. (საკადესი). კამბოჯის პრესა იუწყება ტაილანდის მტრული მოქმედების შესახებ კამბოჯის საზღვარზე. საზღვრისპირა რაიონში საგანგებო წესების გამოცხადების შემდეგ ტაილანდის ხელისუფლებამ საზღვრის გასწვრივ თავი მოუყარეს უახლესი სახეობის თანამედროვე იარაღით აღჭურვილ დიდ სამხედრო ძალებს. შემჩნეულია აგრეთვე ტაილანდის ავიაციის აქტიურობა.

ამავე დროს კამბოჯის გაზეთები აღნიშნავენ, რომ სამხრეთ ვიეტნამის პრესაში გრძელდება კამბოჯის საწინააღმდეგო კამპანია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIII სესია

26 სექტემბრის დილის პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი. (საკადესი). დღეს დილის პლენარულ სხდომაზე საერთო პოლიტიკურ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ერაყის, ჰოლანდიის, ტუნისისა და ლიბერიის დელეგატებმა.

ერაყის დელეგატმა ხაშიმ ჯავადმა წარმოთქვა მკაფიო სიტყვა, რომელიც მიუძღვნა ახლო და შუა აღმოსავლეთში დაძაბული მდგომარეობის მიზეზების ანალიზს.

ერაყის დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაძაბულობა, რომელიც გაბატონებული იყო საერთაშორისო ურთიერთობაში მეორე მსოფლიო ომის დამთავრების დროიდან, შედეგია იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მისწრაფებისა გაახანგრძლივონ კოლონიური სისტემის არსებობა.

ჯავადმა მკაცრად დაგმო იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ჩარევა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების საშინაო საქმეებში, სისხლისმღვრელი კოლონიური ომი ალჟირელი ხალხის წინააღმდეგ და უხეში ძალის გამოყენება ომანისა და ადენის მოსახლეობის წინააღმდეგ.

შემდეგ გამოვიდა ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრი ლუნსი, რომლის ქვეყანა, როგორც ცნობილია, აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის წევრია. მაგრამ მან ვერც კი გაბედა პირდაპირ დაეჭირა მხარი ამერიკა-ინგლისის ინტერვენციისათვის ახლო და შუა აღმოსავლეთში და ამერიკის შეერთებული შტატების პროვოკაციული მოქმედებისათვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ.

მოუწოდებდა რა „პატიოსნად, თანმიმდევრულად და გულწრფელად“ დაეცვან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპები, ჰოლანდიის იმ ქვეყნის წარმომადგენელმა, რომელსაც ოკუპირებული აქვს ინდონეზიის რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილი — დასავლეთი ირიანი — გაბედა გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდან ბრალად დაედო სწორედ ინდონეზიის რესპუბლიკასათვის... გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპების დარღვევა და აგრესია.

ტუნისის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის გამოცხადებამ და ცნობამ, განაცხადა ტუნისის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სადოკ მოკადემმა, ვერ აღმოფხვრა ყველა კონფლიქტი და სიძნელე არაბთა ახალგაზრდა სახელმწიფოს ურთიერთობაში საფრანგეთთან. ერთ-ერთი ასეთი კონფლიქტი იყო სოფელ საკიეტ-სიდი-იუსეფის დაბომბვა მიმდინარე წლის დამდეგს საფრანგეთის ავიაციის მიერ, რომელიც ალჟირის ტერიტორიიდან მოქმედებდა. ტუნისის მთავრობა, ხაზგასმით აღნიშნა მოკადემმა, ყოველ ღონეს ხმარობდა და ხმარობს ყოველგვარი საერთაშორისო პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისათვის. არა შემდგომი გამალებული ატომური და ჩეულებრივი შეიარაღებით, არამედ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფოთა ნორმალური ურთიერთობა, მთელი მსოფლიოს მშვიდობა და უშიშროება.

ტუნისის დელეგატმა თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა ალჟირელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ოთხი წლის განმავლობაში, განაგრძო მოკადემმა, ტუნისის საზღვრებზე მიმდინარეობს ულმობელი ომი ალჟირელი ხალხის წინააღმდეგ, რომელიც იბრძვის თავისი ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დრამოკმული კოლონიალიზმის წინააღმდეგ. ათიათასობით ადამიანი იღუპება ამ არაადამიანურ ომში. საფრანგეთი უარს ამბობს მშვიდობიანი და სამართლიანი საშუალებებით დააკმაყოფილოს ალჟირელი ხალხის კანონიერი ეროვნული მისწრაფებანი, რითაც საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას ჩრდილოეთ აფრიკაში.

დილის სხდომის დასასრულს სიტყვა წარმოთქვა ლიბერიის საგარეო საქმეთა მინისტრმა დუკულმ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მეთოთხმეტე სერიოზული გაფრთხილება

პეკინი, 26 სექტემბერი. (საკადესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგცემს, 26 სექტემბერს ამერიკის 6 სამხედრო ხომალდი შეიჭრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში ფუძანის პროვინციის რაიონში. ორი მათგანი ღრმად შევიდა ჩინეთის საშინაო წყლებში მაძუდაოს რაიონში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს დავალებული აქვს განაცხადოს: ამერიკის შეერთებული შტატების ამ ახალ სამხედრო პროვოკაციასთან დაკავშირებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა იძლევა მეთოთხმეტე სერიოზულ გაფრთხილებას.

ინგლისმა მჯიცედ უნდა უარყოს ომი

ლონდონი, 26 სექტემბერი. (საკადესი). ინგლისის საზოგადოებრიობა დაბეჯითებით მოითხოვს, რომ ინგლისის მთავრობა გადაჭრით გაემიჯნოს შეერთებული შტატების პროვოკაციულ მაქინაციებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ. პრესა ფართო კომენტარს უკეთებს პრემიერ-მინისტრ მაკმილანის გუშინდელ საუბარს ბრიტანეთის ტრედუნიონთა კონგრესის წარმომადგენლებთან. გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მაკმილანის ბუნდოვანი განცხადება ომის შესახებ, რომ ინგლისი „მონაწილეობას იღებს არაოფიციალურ კონსულტაციებში შორეული აღმოსავლეთის კონფლიქტის შეწყვეტის საკითხზე“, სრულიადაც არ აკმაყოფილებს ინგლისის მოსახლეობის ფართო ფენებს. „დეილი ჰერალდი“, გმობს რა ინგლისის დიპლომატიის ასეთ „მოღაწეობას“, წერს, რომ „ინგლისის მთავრობის ერთადერთი საჯარო დემარში უკანასკნელი კვირის მანძილზე იყო ხმის მიცემა იმის წინააღმდეგ, რომ განხილულიყო საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის დაშვების შესახებ“.

„დეილი უორკერი“ სარედაქციო სტატიაში წერს, რომ „მხოლოდ მძლავრ კამპანიას, რომელშიც ინგლისელი ხალხი გამოხატავს მშვიდობისადმი მისწრაფებას, შეუძლია აიძულოს მაკმილანი გამოვიდეს ამერიკელების წინააღმდეგ“.

გაზეთი „სკოტსმენი“ სარედაქციო სტატიაში აღნიშნავს, რომ ამერიკის საზოგადოებრიობა „მკაცრად ილაშქრებს ომის ზღვარზე ბალანსირების პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც დალესი ახორციელებს“. ამავე დროს, აღნიშნავს „სკოტსმენი“, ინგლისის მთავრობას „უკავია პრომერიკული პოზიცია“, როგორც ამას ცხადყოფს ინგლისის წარმომადგენლის გამოსვლები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ომის საფრთხის წინაშე ინგლისის მთავრობის უმოქმედობის პოლიტიკის გამო უკმაყოფილებას სულ უფრო მეტი ძალით გამოხატავს მრავალი საპროტესტო განცხადება, რომლებიც იგზავნება პრემიერ-მინისტრის ოფიციალური რეზიდენციის მისამართით. რეზოლუციები, რომლებშიც მოითხოვენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ნაპირებთან ამერიკის საომარი მზადების დაგმობას, გაუგზავნეს მთავრობას ლეიბორისტული პარტიის ქალაქ გლაზგოს ორგანიზაციამ, სამშენებლო მრეწველობის მუშაკთა ფედერაციამ.

ხისდამმუშავებელთა პროფკავშირის მანჩესტერის კომიტეტმა, რომლის რიგებში ითვლება 7 ათასი მუშა, წამოაყენა მოთხოვნა, რომ მთავრობამ განაბორციელოს დამოუკიდებელი პოლიტიკა, რომელიც უნდა იძლეოდეს გარანტიას, რომ ინგლისი არ ჩაებმება ამერიკის საშიშ საომარ ავანტიურაში შორეულ აღმოსავლეთში.

აბერდინში (შოტლანდია) გაიმართა მშვიდობის მომხრეთა მიტინგი, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა ნობელის პრემიის ლაურეატმა მეცნიერმა-ბიოქიმიკოსმა დოქტორმა, სინგმა. მიტინგის მონაწილეებმა პრემიერ-მინისტრს გაუგზავნეს დეპეშა, რომელიც მოითხოვს ამერიკის ჯარების გაყვანას ტაივანიდან.

საპროტესტო დეპეშები გაუგზავნეს მაკმილანს აგრეთვე ედინბურგში გამართული მიტინგების მონაწილეებმა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საომარი მზადება

ბონი, 26 სექტემბერი. (საკადესი). გუშინ ლიუნებურგის ველზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ადენაუერი დაესწრო ბუნდესვერის იმ შენაერთების მანევრებს, რომლებიც მომზადებული არიან ატომური ომის წარმოებისათვის. კერძოდ, მას უჩვენეს მოქმედების საშუალო რადიუსის რაკეტების გამოყენება, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ ატომური მუხტები.

როგორც პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, ადენაუერმა კმაყოფილება გამოთქვა დასავლეთ გერმანიის ჯარისკაცთა საბრძოლო მომზადების გამო. მანევრებზე მას ახლდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი შტრაუსი, დასავლეთ გერმანიის არმიის სარდალი გენერალი ჰოიზინგერი და ბუნდესვერის სახმელეთო ძალების სარდალი გენერალი რეტიგერი.

ჟურნალ „მეჟდუნაროდნაია ჟიზნის“ მორიგი ნომერი

გამოვიდა ჟურნალ „მეჟდუნაროდნაია ჟიზნის“ ოქტომბრის ნომერი.

ნომერში გამოქვეყნებულია **„ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი დასავლეთგერმანელი მწერლისა და ჟურნალისტის ა. ე. იოპანის კითხვებზე“.**

ჟურნალში მოთავსებულია: მოწინავე — „საერთაშორისო ვანდარმის პოლიტიკა“. სტატიები — კ. სემიონოვისა „ატომგულის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ და ყველგან შეწყვეტისათვის“, ა. კრიმოვისა „გამარჯვების ცხრა წელი“; ფრანგი მწერლის და პუბლიცისტის პიერ კურტადისა „პოლიტიკური მდგომარეობა საფრანგეთში“; ვ. ალექსანდროვისა „ახლო და შუა აღმოსავლეთში მშვიდობის ინტერესებისათვის“; მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ს. ავარზედისა „მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა“; ს. მაძოევსკისა „ინგლისის უშიშროება და ინგლის-ამერიკის ურთიერთობა“; ი. მიკუსონისა „კრიზისი შეერთებულ შტატებში და მისი გამოხატულება პოლიტიკაში“ და სხვ.

„საქართველოს ეკონომისტი“ № 9

გამოვიდა ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ მორიგი, მეცხრე ნომერი.

ჟურნალში გამოქვეყნებულია შემდეგი მასალები:

ა. გუნია — გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების მოსპობის საკითხისათვის; კ. ჯოხიძე — ლეგენდა „სახალხო კაპიტალიზმის“ შესახებ; ბ. ურუშაძე — ელექტროფიკაციის როლი საქართველოს სსრ საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში; შ. მარგველაშვილი — წარმოების ორგანიზაციის საკითხები საქართველოს სსრ ჩარხმშენებლობაში.

ეკონომიური აზრის ისტორიის განყოფილებაში დაბეჭდილია სტატიები: გ. ზაქარიაძე — ნიკო ნიკოლაძის ეკონომიურ შეხედულებათა შესახებ (დაბადების 115 წლისთავისათვის); ი. ბახტაძე — ნიკო ნიკოლაძე (ზოგონება); პ. გეგუშვილი — თომა კამპანელა (დაბადების 390 წლისთავისათვის).

მიმოხილვისა და საწარმოთა ეკონომიკისა და ინფორმაციის განყოფილებებში მოთავსებულია: კ. მიროტაძე — ვაზის სამყნობი აგრეგატის ეკონომიური ეფექტიურობა; ვ. ზუხბაია — სამშენებლო მასალათა მრეწველობის პერსპექტივები აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში; გ. გოშაძე — ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტროფიკაციის ეკონომიური მნიშვნელობის შესახებ, მ. კიპნისი — ქსოვილის ხარისხის გაუმჯობესება სამკერვალო მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მნიშვნელოვანი პირობაა; შ. კიზირია — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკის შესახებ.

კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში დაბეჭდილია: ი. სურგულაძის, კ. გრიგოლიას და გ. ნადარეიშვილის წერილები.

მულტიპლიკაციური ფილმების ფესტივალი

დღეს კინოთეატრ „სპარტაკში“ იწყება მულტიპლიკაციური ფილმების ფესტივალი, რომელიც ეძღვნება ლენინური კომკავშირის 40 წლისთავს. ფესტივალის დღეებში ნაჩვენები იქნება მულტიპლიკაციური ფილმების საკავშირო სტუდიის ახალი კინოფილმები — „სიტყვა აქვთ თოჯინებს“, „ბავშვი ნეაპოლიდან“, „წითელქუდა და პიონერი“, „პირველი ვიოლინო“, „კატის სახლი“, „ტურა და მგელი“, „ჩვენ მზესთან მივდივართო“, „პეტია და მგელი“ და სხვ.

ფესტივალზე ჩამოვიდნენ მულტიპლიკაციური ფილმების საკავშირო სტუდიის შემოქმედებითი მუშაკები — რეჟისორი დ. ბაბიჩენკო, კინოოპერატორი მ. დრუიანი, დამდგმელი — მხატვარი ა. ვინოკუროვი და სხვები.

ფესტივალი 2 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

ახალი სასტუმრო ტყიბულში. ფოტო პ. ლუცენკოსი (საქდესის ფოტოქრონიკა).

სპორტის ამბები

სრულიად საკავშირო სპორტული ესტაფეტი სსრ კავშირის საზღვრის გაყოლებით

როგორც ცნობილია, 1 სექტემბერს 9 საათზე მოსკოვის დროით ერთსა და იმავე დროს სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის ჩრდილოეთის და წყნარი ოკეანის უბნებზე სტარტი მიეცა სრულიად საკავშირო სპორტულ ესტაფეტს საკავშირო ალკა 40 წლისთავის აღსანიშნავად. ესტაფეტი გაიელის სსრ კავშირის მთელი სახელმწიფო საზღვრის გაყოლებით. ესტაფეტის ალმები მიაქვთ ჩინებულ მესაზღვრე მეომრებს, რომლებიც შეარჩიეს წინასწარი წვრთნის მსვლელობაში.

დღისით და ღამით, წვიმასა და ძლიერ ქარში მიჰქონდათ ესტაფეტის ალამი მესაზღვრე მეომრებს. და აი ესტაფეტმა გაიარა საქართველოს სსრ საზღვარზე. ყველა დასახლებულ პუნქტში, სადაც გადიოდა ესტაფეტის მარშრუტი, გაიმართა მშრომელებისა და მეომრების მიტინგები, სახალხო სეირნობა, სპორტული შეჯიბრებები, რომლებიც გადაიქცა არმიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის მკაფიო დემონსტრაციად.

ესტაფეტის მარშრუტი გადიოდა მაღალ მთებში. მესაზღვრეებს უხდებოდათ ციცაბო აღმართების იერიშით აღება, თავბრუდამხვევი დაშვება ხევებში, ბობოქარი მთის მდინარეების გადალახვა. მაგრამ ვერავითარი სიძნელე ვერ აჩერებდა მამაც და გამოწრთობილ მეომრებს.

ესტაფეტმა ცხადყო, რომ ჩვენი სამშობლოს წმიდათაწმიდა საზღვრების დაცვის საქმე უნარიანი, შეუპოვარი მეომრების — სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტების საიმედო ხელშია, რომლებსაც ვერ აშინებს სიძნელეები და საფრთხე. (საქდესი)

საერთაშორისო ამხანაგური მატჩი წყალბურთში

გუშინ თბილისის ფიზკულტურის პარკის საბაფხულო საცურაო აუზში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წყალბურთელთა ნაკრებმა ჩაატარა თავისი მეორე მატჩი. ამჯერად საერთაშორისო შეხვედრების დიდი გამოცდილების მქონე ამ კოლექტივს შეხვდა თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდი. როგორც ცნობილია, სტუდენტი წყალბურთელები თავისი არსებობის მხოლოდ ორ წელს ითვლიან. მათ 1957 წელს პირველად მოიპოვეს უფლება მონაწილეობა მიეღოთ გათამაშებაში საბჭოთა კავშირის პირველობაზე წყალბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის. გუშინდელი შეხვედრა ახალგაზრდა კოლექტივისთვის პირველი საერთაშორისო მატჩი იყო. მიუხედავად ამისა, მათ შესძლეს სათანადო წინააღმდეგობა გაეწიათ ძლიერი მოწინააღმდეგისთვის.

მატჩი დამთავრდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების გამარჯვებით ანგარიშით 6:5.

დღეს გერმანელი წყალბურთელები შეხვდებიან საქართველოს ნაკრებს.



სურათზე: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წყალბურთელთა ნაკრები გუნდის კაპიტანი გიუნტერ ბეკერი და თბილისის „დინამოს“ კაპიტანი ნოდარ გვახარია (მარჯვნივ) ერთმანეთს უცვლიან სამახსოვრო ვიმპელებს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

სსრ კავშირის საჰაერაკო ჩემპიონატის ნახევარფინალები

დამთავრდა სსრ კავშირის 26-ე საჰაერაკო ჩემპიონატის მოსკოვის ნახევარფინალი. ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ახალგაზრდა ნოვოსიბირსკელმა ოსტატმა ა. ლუტიკოვმა, რომელსაც არც ერთი პარტია არ წაუგია. მან 15 შესაძლებელში 12 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილი დაიკავა საერთაშორისო ოსტატმა ს. ფურმანმა (ლენინგრადი). მას აქვს 11 ქულა. მესამე და მეოთხე ადგილები ერთნაირი შედეგით (ათ-ათ ქულა) გაიყვეს ახალგაზრდა მოსკოველმა ოსტატებმა ე. ვასიუკოვმა და ა. ნიკიტინმა. გროსმაისტერები ი. ბონდარევსკი და ა. ტოლუში ვერ მოხვდნენ პრეზიორებში.

ჩემპიონატის რეგლამენტის თანახმად ჩვენი ქვეყნის 26-ე საჰაერაკო პირველობის ფინალში მონაწილეობის უფლება ეძლევა მხოლოდ სამ-სამ გამარჯვებულს თითოეულ ნახევარფინალში. ამ რიგად, მოსკოვის ჯგუფიდან ფინალში გავიდნენ ოსტატები ლუტიკოვი და ფურმანი. მესამე ადგილის საკითხი გადაწყდება დამატებით, ალბათ, მოსკოველ ოსტატებს. ე. ვასილკოვსა და ა. ნიკიტინს შორის მატჩის გათამაშებით.

მალე დამთავრდება შეჯიბრების ბაქოსა და როსტოვის ნახევარფინალები. ბაქოს ჯგუფში ლიდერობას მტკიცედ ინარჩუნებს ლენინგრადელი გროსმაისტერი მ. ტალიანოვი. როსტოვის ჯგუფში წინ არიან რუსეთის ფედერაციის ჩემპიონი რ. ნეიმეტდინოვი და ნოვოსიბირსკელი ოსტატი ნ. კროგიუსი. საპრიზო ადგილზე გასვლის დიდი შანსი აქვს აგრეთვე ლენინგრადელ — გროსმაისტერ ბ. სპასკის, რომელიც ნახევარ ქულით ჩამორჩება ლიდერებს.

ი. რობლინი.

ჟიტეცკიმ გადააჭარბა კონოს

სამ დღეს გრძელდებოდა ლუგანსკში უკრაინის პირველობაზე შეჯიბრება ძალოსნობაში, რომელიც მიეძღვნა ლენინური კომკავშირის 40 წლისთავს.

შეჯიბრების მსვლელობაში დამყარებულ იქნა 9 რესპუბლიკური რეკორდი, რომელთაგან ორი მსოფლიო საუკეთესო შედეგს აღემატება.

გამოდიოდა რა ნახევრადსაშუალო წონაში, კიეველმა ვლადიმერ ტიმოშენკომ აჭიმა 140 კილოგრამი. ეს ერთი კილოგრამით მეტია მსოფლიო რეკორდზე, რომელიც თ. ბოგდანოვსკის ეკუთვნოდა. ამავე მოძრაობაში ახალგაზრდა ალოსანმა ანატოლი ჟიტეცკიმ შეძლო ასწევენებინა ბრწყინვალე შედეგი — 145 კილოგრამი. მსოფლიო შედეგი საშუალო წონის ძალოსნებისათვის, რომელიც ამჟამად ეკუთვნოდა, გაუტოლებულია ერთი კილოგრამით.

რედაქტორი პ. რატიანი.

კინოთეატრებში

ოქტომბერი, **ამირანი** (საზამთრო), **ისანი** (საზამთრო), **თბილისი, საქართველო** (მწვანე დარბაზი), **ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, პლეხანოვის სახელობის კლუბი** — სახურავი, **ფილარმონიის ბაღი, ამირანი** (საზაფხულო) — საქმრო საიქიოდან, **ისანი** (საზაფხულო), **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **ძერჟინსკის სახელობის** (საზაფხულო), **დიდუბე** (საზამთრო) — ლეგენდა სიყვარულზე, **სპარტაკი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **გორკის სახელობის კულტურის სახლი, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — სიყვარულის დაფდაფები, **კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო), **სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი, ცენტრალური კულტურის სახლი** (საზამთრო) — ფატიმა, **საქართველო** (საზაფხულო) — ისინი ჩამოვიდნენ მთიდან, **კოლხიდა** (საზაფხულო), **ყაზბეგი** — ოქროს სიმფონია, **კიროვის სახელობის პარკი** — ვილოსიპედისტის სიკვდილი, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) — ჯოპკა და ანტონი, **ოფიცერთა სახლი, კოლმეურნე** — მემანქანე, **დიდუბე** (საზაფხულო) — ივანე მრისხანე (II სერია), **კომუნარების ბაღი** — ქალიშვილი გიტარით.

ორგანიზაციების, დაწესებულებების, საწარმოების, სასწავლებლების ხელმძღვანელების, საუწყებო სახლების კომენდანტებისა და სახლთმფლობელების საყურადღებოდ

1958-1959 წლების ზამთრის თბობის სეზონისათვის ობიექტების მომზადების დროზე უზრუნველყოფის მიზნით რესპუბლიკური ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება ახორციელებს ქვემოთდასახელებულ ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებს:

1. კვამლსადენების გაწმენდას ჭვარტლისაგან, ცენტრალური გათბობის რემონტს ღუმელების, კვამლსადენთა ძგიდეების წყობას, გადაწყობასა და გამოწვას, ხის კონსტრუქციების შეღებვას ცეცხლდამცავი ხსნარით.

2. ყველა სახის ცეცხლსაქრობის (მათ შორის ნახშირმჟავა ცეცხლსაქრობების) დამუხტვასა და გადამუხტვას, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის დამზადებასა და რემონტს, გამართვისა და ელექტროსაზომ სამუშაოებს.

3. აწყობს მოხსენებებს, ლექციებს, ტექმინიმუმებს და კინოსურათების ჩვენებას ხანძარსაწინააღმდეგო თემატიკაზე.

ზემოთაღნიშნული ღონისძიებების განხორციელეიეთ დაინტერესებულმა პირებმა ნებაყოფლობითს სახანძრო საზოგადოებაში 1958 წლის 15 ოქტომბრამდე უნდა შეიტანონ განცხადები შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, რუსთაველის პროსპექტი №2, ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო, ტელ. №3-83-09.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მიმართეთ ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ადგილობრივ საბჭოებს.

საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო.

დედა ელენე, მამა მიხეილ, მეუღლენა, შვილი თენგიზი, და ირინე, სიძე გვანჯი მანია ოჯახით იუწყებიან

ნოდარ მიხეილის-ძე ნოდიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-IX, 8 ს. გამოსვენება 30-IX, 4 ს. პლეხანოვის პროსპ. № 150.

საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის აპარატის მუშაკები იუწყებიან

კაპიტონ ანდრიას-ძე დანელიას

გარდაცვალებას.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი, პარტიული კომიტეტი და ადგილკომი იუწყებიან ფიზიკის მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ

ნოდარ მიხეილის-ძე ნოდიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-IX 8 ს. გამოსვენება 30-IX, 4 ს. პლეხანოვის პროსპ. № 150.

ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისი რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის კოლექტივი იუწყებიან ამავე ინსტიტუტის სტუდენტის

გურამ ვლადიმერის-ძე ხუბულურიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 30-IX 1-X. გამოსვენება 2-X, 4 ს. მონტინის III შესახვევი № 30.

ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისი რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის კოლექტივი იუწყებიან ამავე ინსტიტუტის სტუდენტის

ჯემალ შალვას-ძე ფოფხაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-X სოფელ ხონჭიორში (ამბროლაურის რ

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90 სოფლის მეურნეობისა — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პრესის მიმობილვის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების და პარტიულოსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65.